



რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი



სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი

„ვამტკიცებ“

ააიპ ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის დირექტორის მ/შ

ბ-ნ გიორგი დემეტრაშვილი



„შეთანხმებულია“

საქართველოს ძველდასწრეობის ცენტრი ფედერაციის პრეზიდენტი

ბ-ნ გიორგი ათაბეგაშვილი



დებულება

ორგზის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის ბადრი ყვავილაშვილის სახელობის რიგით XVI ტურნირი ძიუდოში 2009-2010 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის

26-27 ნოემბერი 2023 წელი

1. მიზანი და ამოცანები:

1. ძიუდოს განვითარება და პოპულარიზაცია.
2. სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება და ურთიერთ გამოცდილების გაზიარება.
3. ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და მათი ოსტატობის ამაღლება.

2. შეჯიბრის ჩატარების დრო და ადგილი:

1. შეჯიბრი ტარდება 2023 წლის 26-27 ნოემბერს ქ. რუსთავის ქიმიკოსთა სპორტის სასახლეში (რუსთაველის ქ. #30ა) შეჯიბრის საზეიმო გახსნა 26 ნოემბერს 14:00 საათი.

ჩამოსვლის დღე 25 ნოემბერი.

3. შეჯიბრის მონაწილენი:

26 ნოემბერს იჭიდავებენ შემდეგ წონით კატეგორიებში:

30- 34-38-42-46-50 კგ-მდე წონით კატეგორიებში.

27 ნოემბერს იჭიდავებენ შემდეგ წონით კატეგორიებში:

55-60-66-73+73 კგ-მდე წონით კატეგორიებში.

2. აწონვა: 2023 წ 26-27 ნოემბერი 08:00-დან 09:00 საათამდე.

3. შეჯიბრის დასაწყისი 2023 წლის 26-27 ნოემბერს 10:00 საათი.

4. შეჯიბრის ჩატარების ხელმძღვანელობა:

1. შეჯიბრის ჩატარებას ორგანიზებას უწევს „აიპ ქ.რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ და საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია. ტურნირს მოემსახურებიან საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციიდან მოწვეული მსაჯები და ვიდუო გადაღება.

5. შეჯიბრის ჩატარების პირობები:

1. შეჯიბრზე ჩამოსული გუნდების გზის, კვების და სასტუმროს ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია. დანარჩენი შეჯიბრის მომსახურების, საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების დაჯილდოების ხარჯებს გაიღებს შეჯიბრის ჩამატარებელი ორგანიზაცია.

2. შეჯიბრი ტარდება ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი წესებით:

- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წთ. (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაღვროს ოქროს ქულამდე.

6. დაჯილდოება:

1. წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით, ჩემპიონები დაჯილდოვდებიან თასებით.

დაწესებულია აგრეთვე ბადრი ყვავილაშვილის სახელობის თასი

საუკეთესო ძიუდოისტის თასი.

შენიშვნა: სასტიკად აკრძალულია გადაზრდილი სპორტსმენების გამოყვანა შეჯიბრებაზე, ასეთი დარღვევისთვის მონაწილეს და მწვრთნელს დაისჯება დისკვალიფიკაციით.

საკონტაქტო ტელეფონი:

დირექტორის მ/შ გიორგი დემეტრაშვილი ტელ: 557 93 81 81; Mail:- rustavisport@gmail.com

მწვრთნელები: ხვიჩა კაპანაძე ტელ; 551 79 89 53; შალვა დარბული ტელ; 577 47 85 22;

აღნიშნული დებულება ითვლება ტურნირზე ოფიციალურ მოწვევად.